მე-6 კლასი

სავარჯიშო I. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

1. რამდენი ბრუნებადი სიტყვაა გამოყენებული წინადადებაში: „ქუჩაში ერთხელ წაიქცა ბავშვი...“
   ა) ორი ბ) სამი გ) ხუთი
2. რამდენი ბრუნებადი სიტყვაა წინადადებაში: „დავიღლები საქართველოს სიყვარულში, სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ...“
   ა) სამი ბ) ოთხი გ) ხუთი
3. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული შესიტყვება წინადადებაში: „კეთილ კაცს წყალობა არასდროს მოაკლდება...“
   ა) სახელობითში ბ) მიცემითში გ) ნათესაობითში
4. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში:
   „მე კი მგონია, ფრესკებზე ყრმა რომ ზის დედის კალთაში,
   თუ ,,დედა ენას“ მიუტან დიდივით კრძალვით გადაშლილს...“
   ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) მიცემითში
5. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული ნაცვალსახელი წინადადებაში:
   „შენმა სურვილმა დამლია, შენზედ ფიქრმა და ლხენამა...“
   ა) მოთხრობითში ბ) ვითარებითში გ) მოქმედებითში

სავარჯიშო II. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

6. რამდენგვარია წინადადება შინაარსის მიხედვით?
   ა) სამგვარი ბ) ხუთგვარი გ) შვიდგვარი
7. მარტივ წინადადებაში არის:
   ა) ერთი ზმნა ბ) ორი ზმნა გ) ორზე მეტი ზმნა
8. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა? „ვარსკვლავიც გაქრა და ირიჟრაჟა.“
   ა) შემასმენელი ბ) ქვემდებარე გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი
9. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვა? „ანა გამუდმებით ცდილობდა დედის გახარებას.“
   ა) შემასმენელი ბ) ქვემდებარე გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი
10. წინადადების რა წევრია ხაზგასმული სიტყვები? „ყველა მის წამოყენებას ცდილობდა, ია კი ლურჯ თვალზე ფოთლებს იფარებდა.“
    ა) შემასმენელი ბ) ქვემდებარე გ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი
11. რომელი არ არის სწორად დაწერილი თანდებულიანი სახელი?
    ა) კოვზე ბ) კაკანათთან გ) ქარქაშში
12. რომელ ბრუნვაშია თანდებულიანი სახელი წინადადებაში: „საშინელმა ქარიშხალმა ია მიწასთან გაასწორა, ბალახებს კი ვერაფერი დააკლო...“
    ა) სახელობითში ბ) მიცემითში გ) ნათესაობითში
13. რომელია არასწორად დაწერილი თანდებულიანი სახელი?
    ა) მისთვის ბ) შენს მიერ გ) შენ გამო
14. რომელ ბრუნვაშია თანდებულიანი სახელი წინადადებაში: ,,შოკოლადი შენთვის ვიყიდე, მე დედამ გუშინაც მიყიდა“
    ა) სახელობითში ბ) ნათესაობითში გ) ვითარებითში

15. რომელია სწორად დაწერილი წინადადება?

ა) ამ მაღაზიისგან შორს ვცხოვრობთ მე და ელენე.

ბ) მეწაღე მშვენიერ ფეხსაცმელს შეგვიკერავს ამ ტყავიდან.

გ) ,,მე რომ სახადისგან განვიკურნე, ჩემი ვარია სადღაც გაუჩინარდა.“

სავარჯიშო III. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი:

16. რომელია არასწორად დაწერილი?

ა) ბაქია კურდღელი. ბ) ნამდვილ ნატვრისთვალს. გ) კეთილი ჯადოქრად.

17. არასწორად დაწერილი წინადადებაა:

ა) დავითს ყველა შინაური ცხოველი ჰყავს: ძაღლი, კატა, ცხვარი, ღორი...

ბ) მეფეო ვინ გასწავლა ნადავლის ეგრე გაყოფა?

გ) გვეყოფა, გვეყოფა ჩხუბი და კამათი-მეთქი!

18. ,,ზურგი უჩვენა“ ანუ

ა) დაეხმარა ბ) ზურგით მიეყრდნო გ) შეეშინდა და გაიქცა

19. ,,გოჯი“ ანუ

ა) ღორი ბ) ჯოხი გ) საზომი ერთეული

20. ,,ცისკარი“ ანუ

ა) ცა ბ) ცისფერი გ) განთიადი